



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 24

განკარგულება

27/02/2020

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



ანგარიში

ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი“-ს მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა.(ა)ი.პ. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 საშტატო ერთეულით. 2014 წელს დაემატა 1 საშტატო ერთეული დამლაგებელი. 2016 წელს დაემატა 1 საშტატო ერთეული ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი პირი.

2019 წლის III-IV კვარტლის განმავლობაში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის:

ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი „B“ – 8 შემთხვევა

ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი „C“ – 102 შემთხვევა

მწვავე ვირუსული ჰეპატიტი „B“ – 1 შემთხვევა

საკვებისმიერი მომხამვის–477 შემთხვევა

სავარაუდო ინფექციების წარმოშობის დიარიის–291 შემთხვევა

ჩუტყვავილა–54 შემთხვევა

ტუბერკულოზი– 13 შემთხვევა

ქუნთრუმა–3 შემთხვევა

ყივანახველა-4 შემთხვევა

ლეპტოსპიროზი-12 შემთხვევა

ლეიშმანიოზი- 1 შემთხვევა

ბრუცელოზი -5 შემთხვევა

წითელა -1 შემთხვევა

ლაიმის დაავადება ბორელიოზი-12 შემთხვევა

შიგელოზი-1 შემთხვევა

ყბაყურა-1 შემთხვევა

საქართველოს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ 2019 წლის ივლისის- თვიდან ნოემბრის თვის ჩათვლით ჩატარდა მონიტორინგი 268 ობიექტზე, მაღაზიებში, სალონებში, კვების ობიექტებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში და საჯარო სკოლებში დარიგდა სტიკერები თამბაქოს აკრძავლის შესახებ.

2019 წლის წლის 21 ოქტომბერს წყალტუბოში დაფიქსირდა კვებითი ინტოქსიკაციის ჯგუფური შემთხვევა. კერძოდ: „წყალტუბოს რესტორან „ჩვენი ქალაქი“ 280 კაციან ქორწილში ქათმის

ფილეს სალათით მოიწამლა 16 პირი. ეპი კვლევით აღებული იქნა რექტარული ნაცხი ნაწლავურ ინფექციაზე გამოსაკვლევად სადაც ამოითესა Proteus mirabilis და St.aureus.

2019 წლის 16 ნოემბერს წყალტუბოს #1 საჯარო სკოლაში მე-2 ბ კლასში დაფიქსირდა ჩუთყვავილით დაავადების ჯგუფური შემთხვევა. ეპიდ კვლევით გამოვლინდა 8 მოსწავლე, ჯგუფში ირიცხებოდა 25 მოსწავლე. ჩატარდა პროფილაქტიკური ღონისძიება.

2019 წლის 15 ნოემბერს სოფელ გვიშტიბის ბაგა-ბაღში დაფიქსირდა ჩუთყვავილით დაავადების ჯგუფური შემთხვევა. ეპიდ კვლევით გამოვლინდა 11 აღსაზრდელი, ჩატარდა პროფილაქტიკური ღონისძიება.

ვემსახურებით რაი-საავადმყოფოს ანტირაბიულ კაბინეტს, რომელსაც მუდმივად ვაწვდით ანტირაბიულ ვაქცინას. ვაწესებთ კონტროლს ანტირაბიული ვაქცინაციაში სრული კურსის ჩამტარებელ პირებზე. ცხოველში ცოფის დადასტურების შემთხვევაში ვატარებთ კონტაქტირებულების ეპიდკვლევას და ვრთავთ ანტირაბიული მკურნალობის კურსში. 2019 წლის III-IV კვარტალში სულ გაკეთდა 2010 ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ქალაქის რაი-საავადმყოფოში იმ. გადადგილებულ პირთა პოლიკლინიკას და სოფლის საექიმო ამბულატორიების მომარაგებას ასაცრელი მასალით და ინვენტარით (შპრიცები, ასაცრელი მასალის გასანადგურებელი ყუთებით) და სხვადასხვა დაავადებების საწინააღმდეგო შრატებით. ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში კვარტალში ერთჯერ მოაქვთ ქ. თბილისის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრიდან ასაცრელი მასალა და ინვენტარი.

ბავშვთა ასაკის მართვადი ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრები ტარდება 0–14 წლის ასაკში. აცრები მოსახლეობისათვის –უფასოა.

წყალტუბოს რაი-საავადმყოფოს ვამარაგებთ: ასაცრელი მასალით, დაკბენილ დაკაწრულ და დადორბლილ პირთათვის ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინით, იმუნოგლობულინით და ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატით. ასევე ორსული ქალების ანტენატალური კვლევებისთვის – შიდსის, სიფილისის, „B“ და „C“ ჰეპატიტის სწრაფი ტესტებით. ასევე ბოტულიზმის საწინააღმდეგო ა, ბ. და ე ტიპის; ანტიდიფთერიული და გველის ნაკბენის საწინააღმდეგო შრატებით.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2019 წლის III_IV კვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმების მიერ) ჩატარებულია შემდეგი სახის პროფილაქტიკური აცრები:

დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსის ჰემოფილუს-ინფლუენსას, „B“–ჰეპატიტიტის საწინააღმდეგო–322 აცრა

დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსის საწინააღმდეგო 114– აცრა

დიფთერია ტეტანუსის საწინააღმდეგო –184 აცრა

პოლიომიელიტის საწინააღმდეგო –305 აცრა

წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო –329 აცრა

ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო –218 აცრა

როტარიქსის საწინააღმდეგო –184 აცრა

პნევმოკოკური ვაქცინით-299 აცრა

პაპილომას საწინააღმდეგო ვაქცინით- 259 აცრა

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა (ვაქსიგრიპი) უფასო პროფილაქტიკური აცრები ჩაუტარდათ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამედიცინო პერსონალს, დიაბეტით დაავადებულებს, აღრიცხვაზე მყოფ ორსულებს და მათი ოჯახის წევრებს ასევე ბაგა-ბაღების თანამშრომლებს, ინკლუზიური ცენტრის ბავშვებს და მის პერსონალს. სულ გამოყოფილი იყო გეგმით 800 ვაქცინა აქედან აიცრა 700.

2019 წლის ივლისის თვეში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ ინტეგრირებული სკრინინგისთვის („C” ჰეპატიტის, შიდსის, სწრაფი ტესტის, ტუბერკულოზის კითხვარით) ჩატარებისთვის გამოყოფილი იქნა 20 000 ლარი 11400 ბენეფიციარის დასასკრინად. კვლევის შედეგად გამოვლინდა 185 „C” ჰეპატიტზე დადებითი, შიდსი 0, ტუბერკულოზის კითხვარით 10 საექვო შემთხვევა. „C” ჰეპატიტზე დადებითი შემთხვევების აღმოჩენილი ბენეფიციარები ჩართულია „C” ჰეპატიტის მკურნალობის პროგრამაში, რომელიც სრულიად უფასოა.

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტი. ყოველწლიურად საგაზაფხულო კვლევას ჭიის კვერცხებზე.

2019 წლის III_IV კვარტლის განმავლობაში პარაზიტოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარდა პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვლევა-საერთო რაოდენობა 165

მათ შორის ენტერობიოზი აღმოჩნდა 162 პაციენტს, ასკარიდა 2, უარყოფა იყო -1,

დასნებოვნებულ ბავშვებს, დაურიგდათ მედიკამენტი-მებენდაზოლი უსასყიდლოდ. აღნიშნული მედიკამენტი შემოიტანა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ მედიკამენტის დარიგება გაცემა გრძელდება ამჟამადაც 2020 წელშიც.

2019 III_IV კვარტლის ექიმ- პროფილაქტიკოსის ანგარიში. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #473 დადგენილების შესაბამისად მრავალჯერ შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონები, შემოწმებული იქნა ბაღების, სკოლების სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა.

მსოფლიო დღეებთან დაკავშირებით სკოლებში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩატარდა ლექცია საუბრები, დაურიგდათ საგანმანათლებლო ბუკლეტები. ამ დღეებთან დაკავშირებით ექიმ-პროფილაქტიკოსის მიერ ჩატარებული იქნა პრევენციული ღონისძიებები.

ორსულთა სტატისტიკური მონაცემები 2019 წლის III-IV კვარტალში

2019 წლის II კვარტლიდან გადმოყოლილია-2

ახლად აყვანილია-2 ორსული

იმშობიარა-1

დარჩა-3

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2019 წლის III-IV კვარტლის საფინანსო მონაცემები შეადგენს

№	პარაგრაფის დასახელება	გეგმა	ფაქტიური
1	თანამდებობრივი სარგო	27630	27630
2	მივლინება	231	133
3	საკანცელარიო	1380	1086
4	ოფისისათვის სანიტ საგნები	100	
5	საწვავი	2343	1086
6	ელ. ენერჯია	566	441
7	ავტო სათადარიგო ნაწილები	790	670
8	დაცვა	711	710
9	წყალი	189	137
10	ადგილობრივი ტელეფონი	584	574
11	ფიჭური კავშირი	330	330
12	პრემია	4282	4282
13	დანამატი	2857	2850
14	კატრიჯის შეძენა	400	199,80
15	საჭირო საგნები	200	-
16	წიგნების აკინძვა	100	100
17	შენობა ნაგ. რემონტის ხარჯი	150	150
18	ც ჰეპატიტის სკრინინგი	14286	11766

19	კომპიუტერის შეძენა	2000	2000
20			
	სულ:	59129	54123,80

პაატა ახლამე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო